ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3877124

ნომერი: AR1580890

თარიღი : 28.02.2018

გაცემის თარიღი : 21.03.2018

გაცნობის თარიღი : 22.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , ვახუშტის ხიდთან , (ნაკვეთი N16/73);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაჩანა ადამია პ/ნ 01019010732
- თბილისი გ.სააკაძის ქ. N 118

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ნოემბრის №3686503 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 28 თებერვალს №AR1580890 განცხადებით მომართა ბაჩანა ადამიამ. განმცხადებელმა მოითხოვა 2017 წლის 16 ნოემბრის

№3686503 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ნოემბრის №3686503 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდთან, (ნაკვეთი N16/73), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.10.13.016.073), ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
2018 წლის 31 იანვრის №3799387 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდთან, (ნაკვეთი N16/73), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.10.13.016.073), ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 31 იანვრიდან 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ნოემბრის №3686503 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საერთო ფართობად 9088.84 კვ.მ -ის ნაცვლად 9000.7 კვ.მ - ის, საოფისე ფართობად 5489.72 კვ.მ -ის ნაცვლად 5486.0 კვ.მ -ის, საზაფხულო ფართობად 1142.22 კვ.მ -ის ნაცვლად 1071.3 კვ.მ -ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 359.3 კვ.მ -ის ნაცვლად 359.6 კვ.მ -ის, ავტოსადგომის ფართობად 2015.8კვ.მ -ის ნაცვლად 2002.0 კვ.მ -ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ნოემბრის №3686503 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ნოემბრის №3686503 ბრძანებაში. კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 9000.7 კვ.მ, საოფისე ფართობად 5486.0 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1071.3 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 359.6 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 2002.0 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ნოემბრის №3686503 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 28 თებერვალს №AR1580890 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ნოემბრის №3686503 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 ნოემბრის №3686503 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.